



არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმიანებიან „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ წევრისთვის უფლებამოსილების შენიშვნის ფაქტს

2021 წლის 28 იანვარს სსიპ - **ქუჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს** დირექტორის სათაბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს **ქ** წევრისთვის ცნობილი გახდა, რომ ამავე წლის 22 იანვარს, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შეუწყდა საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმიანებიან **ქ** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს **ქ** წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტს, მიიჩნევენ, რომ ბრძანება შეიცავს სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნებს და მიმართულია საბჭოს სხვა წევრების დაშინებისკენ, რათა მომავალში თავი შეიკავონ კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირებისგან.

სააგენტოს დირექტორის ბრძანების თანახმად, შოთა გუჯაბიძის სტატუსი, სააგენტოს პოლიტიკის მიმართ მისი განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებების გამო შეუწყვიტეს, რაც სააგენტოს “მიზანმიმართულ დისკრედიტაციად” შეაფასა სააგენტოს დირექტორმა.

ქ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო **ქ** სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოა, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის საკითხის განიხილავს.

სწორედ ამ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, 2021 წლის 21 იანვარს, შპს **ქ** ბათუმისთვის **ქ** 16-სართულიანი შენობის მშენებლობაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა. გადანყვეტილებას კი შოთა გუჯაბიძე ღიად დაუპირისპირდა - გადანყვეტილების უკანონობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებთან შეუთავსებლობის გამო.

დღეს, 28 იანვარს ცნობილი გახდა, რომ სააგენტოს დირექტორმა, ზაურ ახვლედიანმა, შოთა გუჯაბიძის კრიტიკული მოსაზრებების გამო, ისე, რომ არც კი მოუსმენია მისი მოსაზრებები, საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყვიტა, რაც შეიცავს სავარაუდოდ დისკრიმინაციის ნიშნებს. იგი ემსახურება შოთა გუჯაბიძის დასჯას სააგენტოს უკანონო გადანყვეტილებების მიმართ კრიტიკული მოსაზრებები გამო.

შოთა გუჯაბიძის ინტერესებს საია იცავს.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

დემოკრატიის ინსტიტუტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



თავისუფალ ჟურნალსტთა სახლი

საზოგადოება ბათომი

მწვანე სექტორი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ბათუმის ფილიალი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი ბათუმის ოფისი